ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს ფრაქცია ,,რესპუბლიკელების“ წევრების ხათუნა სამნიძის, ტრისტან ჯინჭარაძის და დავით ზურაბიშვილის

2017 წლის ანგარიში

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:

2017 წლის იანვრიდან დღემდე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა 19 სხდომა . საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა 68 დადგენილება და 420 განკარგულება.

2017 წლის განმავლობაში ხათუნა სამნიძემ მონაწილეობა მიიღო თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 სხდომის, ტრისტან ჯინჭარაძემ - 17, ხოლო დავით ზურაბიშვილმა 16 სხდომის მუშაობაში.

ფრაქციის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის კომისიის, გარემოს დაცვის, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა, სარევიზიო, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების მუშაობაში.

მიმდინარე წელს ჩატარდა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „რესპუბლიკელების“ 25 სხდომა; შესწავლილი საკითხები:

- გამგეობის მიერ გამოცხადებულ ტენდერებთან დაკავშირებული საკითხი,
- ერთიანი სატრანსპორტო სისტემის გენერალური გეგმის შემუშავება საკითხი,
- თბილისის სატრანსპორტო სისტემაში არსებულ პრობლემები,
- თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტის მოძველებული ავტოპარკი,
- ავტოპარკინგის პოლიტიკა,
- სამარშრუტო სქემების დახვეწა,
- ველობილიკებისა და ფეხით მოსიარულეთა ბილიკების კეთილმოწყობა,
- მიწისქვედა და მიწისზედა გადასასვლელების მოწესრიგება.
- ქალაქში არსებული ეკოლოგიური პრობლემები და მათი მოგვარებისთვის საჭირო ღონისძიებები,
- ქალაქში ჰაერის დაბინძურების ხარისხის მონიტორინგი.
- საბურთალოს რაიონის გამგეობის ინიციატივის - გეოლოგიური კვლევების ჩატარების განხილვა,
- მოსახლეობის წყალმომარაგებისა და გაზმომარაგების საკითხები.
- თბილისის ბიუჯეტის ფორმირების პროცესზე ინფორმაციის მიღება,
- სოციალური კომუნალური ვაუჩერები,
- ბიუჯეტის რიგი ქვეპროგრამების დაფინანსების გაზრდის მიზეზები,
- რაიონული ბიუჯეტების განაწილების პროპორციულობა და თანხების ადმინისტრირება.
- ხიდების გამაგრების, გზაგამტარების, საყრდენი კედლებისა და კოლექტორების მოწყობის და სხვა განხორციელებული პროექტების მიმოხილვა,
- დედაქალაქში ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების ვადების გაჭიანურების მიზეზები და ამ მიმართულებით არსებული ხარვეზების აღმოფხვრის გზების დასახვა,

- თბილისის ცენტრალურ რაიონებში დედაქალაქის სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების კუთხით არსებულ პრობლემების განხილვა,
- ქაოსური მშენებლობები,
- დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმის ფარგლებში თბილისის დაგეგმარებისა და განვითარების პოლიტიკა და პერსპექტივები,
- პირველი რიგის ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობა, რაც საკანონმდებლო ცვლილებებს გულისხმობს.

- დედაქალაქში გარემოსდაცვითი მიმართულებით განხორციელებულ და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაცია,

- შიდაკვარტალური სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობის გადაცემა გამგეობებისათვის,
- მწვანე საფარის მოსარწყავად სასმელი წყლის გამოყენების ნაცვლად, ტექნიკური წყლის სტანდარტის შემუშავებისა და გამოყენების აუცილებლობა,
- დეველოპერული პროექტების განხორციელებისას გარემოსდაცვითი კუთხით დასკვნის წარმოდგენის ვალდებულების დაკანონების საკითხი,
- დიდ ფართობებზე გადამხმარი ხეების, როგორც ხანძრის თვითწარმოქმნის საფრთხის შემცველი პრობლემის აღმოსაფხვრელად დასაგეგმი ღონისძიებები.

- თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსა და აუდიტის სამსახურის მიერ ბაღებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღება,
- მიზეზები, რომელთა გამოც ბაღის დირექტორები დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდნენ,
- საბავშვო ბაღებში არსებული პრობლემებისა, და ასევე, აუდიტის მიერ გამოვლენილი ფინანსური დარღვევების გამომწვევი მიზეზები.
- ა(ა)იპ ..თბილისის განვითარების ფონდის" მიზნების, ამოცანებისა და სამუშაოების თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციაზე მკაფიოდ კონცენტრირების საკითხი,
- ფონდის საშტატო პოლიტიკის ხარვეზები,
- ფონდის ფუნქციისთვის შეუსაბამო სამუშაოების განხორციელება (მაგ., მიხეილ მესხის სტადიონის რეაბილიტაცია, თბილისის ზღვის სანაპირო ზოლისა და ლისის ტბის გარშემო ბილიკების კეთილმოწყობა).

- „საზოგადოებრივი საჭიროებისთვის გადაუდებელი აუცილებლობისას წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პრინციპის დაცვით, ზვიად ნაზღაიძის (პ/ნ 65002001290) საკუთრებაში არსებული N01.14.14.002.092 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 01.14.05.007.473) ზვიად ნაზღაიძისათვის (პ/ნ 65002001290) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით გადაცემა".
- 2017 წლის 21 თებერვალს საკრებულოს ფრაქციათა გაერთიანებულ სხდომზე ქ. თბილისის მერიის თანამდებობის პირთა და თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსის გამოუცხადებლობა,

- „საზოგადოებრივი საჭიროებისთვის გადაუდებელი აუცილებლობისას წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პრინციპის დაცვით,

ზვიად ნაზღაიძის (პ/ნ 65002001290) საკუთრებაში არსებული N01.14.14.002.092 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 01.14.05.007.473) ზვიად ნაზღაიძისათვის (პ/ნ 65002001290) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით გადაცემა“,

- 2017 წლის 15 თებერვლისა და 1-ლი მარტის თბილისის მთავრობის სხდომაზე საკრებულოს ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატების დაუშვებლობის ფაქტზე, როგორც საქართველოს კანონმდებლობის უხეშ დარღვევაზე, სათანადო რეაგირება.
- თბილისის განვითარების გენერალური გეგმის მიღებამდე დაჩქარებული წესით ზონალური ცვლილებებისა და უკანონო მშენებლობების შესახებ სკითხების განხილვა,
- არქიტექტურის სამსახურის საკადრო და სტრუქტურული ხარვეზები.

- **ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია:**

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „რესპუბლიკელები“ მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფება მოქალაქეებთან. მიმდინარე 2017 წლის მანძილზე ფრაქცია აქტიურად ახორციელებდა მოქალაქეებთან შეხვედრებს, მუნიციპალიტეტის საკრებულოში მათ მიღებას, წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით გასაუბრებას და კონსულტაციებს.

მოქალაქეთა განცხადებებთან მიმართებით, ფრაქცია სხვადასხვა შუამდგომლობებით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოებს, თვითმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებსა და სხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია:

✓ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია;
✓ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურები;
✓ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობები;
✓ თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო;
✓ თბილისის განვითარების ფონდი;
✓ ქონების მართვის სააგენტო;
✓ თბილისის სატრანსპორტო კომპანია;

თბილისის საკრებულოს ფრაქცია
„რესპუბლიკელების" თავმჯდომარე

ხათუნა სამნიძე